



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 237/ს
25/05/2023

237-21-4-202305251212



ხონის მუნიციპალიტეტში, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე (6.1 ჰა) წლიურად 15 430 მ³ ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე (6.1 ჰა) წლიურად 15 430 მ³ ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 150-180 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ერთ უბნად. წიაღისეულის ობიექტის GPS კოორდინატებია: X-294184, Y-4691648; X-294281, Y-4691617; X-294345, Y-4691618; X-294363, Y-4691601; X-294463, Y-4691605; X-294569, Y-4691594; X-294587, Y-4691564; X-294679, Y-4691561; X-294682, Y-4691475; X-294207, Y-4691470; X-294225, Y-4691515; X-294210, Y-4691554; X-294160, Y-4691618. უახლოესი საცხოვრებელი სახლი სალიცენზიო ობიექტიდან დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით. წიაღისეულის ობიექტს ემიჯნება სახელმწიფო ტყე. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - „წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.“

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია წელიწადში 15 430 მ³ მოცულობის ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 20 წელი. ლიცენზიის ფარგლებში მოსაპოვებელი ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) საერთო მოცულობა შეადგენს 308 600 მ³-ს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღისეულის ობიექტი მდებარეობს იმერეთის გორაკ-ბორცვიანი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც განისაზღვრება მდ. გუბისწყლის ჩრდილოეთ პერიფერიაზე არსებული მარჯვენა სამხრეთ-აღმოსავლეთ ექსპოზიციის მქონე ფერდობის შუა და ზედა (თხემური) ნაწილებით. აღნიშნული ტერიტორიის რელიეფი სერისმაგვარია, რომლის ფერდობის დახრილობა, ობიექტის ფარგლებში, საშუალოდ 15-20⁰-ის ინტერვალში მერყეობს. ტერიტორია დაფარულია მრავალწლიანი ხე-მცენარეებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. გეოლოგიური თვალსაზრისით, რაიონი აგებულია იურული, ცარცული, პალეოგენური, ნეოგენური და მეოთხეული ნალექებით. წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორიაზე ვრცელდება ზედა ცარცული ასაკის, ტურონ-კამპანური „მთავარის“ წყების ვულკანური წარმონაქმნები – ტუფები, ტუფოქვიშაქვები, ტუფობრექჩიები, ბაზალტის განფენებით და კირქვების ლინზებით. პროდუქტიული ფენა წარმოდგენილია ტუფოქვიშაქვებით. სალიცენზიო ობიექტის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ზედა ცარცული ასაკის კირქვები, მერგელები, ტუფობრექჩიები, ტუფოქვიშაქვები და ტუფები, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიონით და ნიადაგის ფენით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. სალიცენზიო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გეოდინამიკური გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, წიაღითსარგებლობის ობიექტზე საძიებო სამუშაოები და დასინჯვა ჩატარებული არ არის, ასევე, არ განხორციელებულა ჰიგიენურ-რადიაციული, ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევები. მადნიანი სხეულის ფართობი შეადგენს 61 720 მ²-ს, ხოლო საშუალო სიმძლავრე – 5 მეტრს. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი შრეებრივია და მადნიანი სხეულ(ებ)ის გავრცელება ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით. წიაღისეულის პროგნოზული (P კატეგორია) მარაგი შეადგენს 308 600 მ³-ს.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური/ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას. სალიცენზიო ობიექტის ღია კარიერული წესით დამუშავებისას, საქმიანობის სპეციფიკიდან და მოპოვების მეთოდიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, კერძოდ, არაორგანული მტვრის გაფრქვევა, რასაც ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ასევე ნედლეულის ტრანსპორტირებისას. გარდა ამისა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების დროს, ადგილი ექნება ხმაურის წარმოქმნას და გავრცელებას, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, ასევე, არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეულ შესაძლო რისკებსა და საფრთხეებთან დაკავშირებით. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენების საკითხები, არ არის მოცემული საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, ხემცენარეების ჭრისა და იქ არსებული სახეობებსა თუ ჰაბიტატების შესახებ) და სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვებისას აღნიშნულ ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება. დოკუმენტში არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტიდან დაახლოებით 500 მეტრში მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - „წმ. გიორგის სახელობის ეკლესია.“ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავების და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დადებითი დასკვნის საფუძველზე, რომლის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა. დასკვნის მოსამზადებლად, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა ხონის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე (6.1 ჰა) წლიურად 15 430 მ3 ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) ღია კარიერული წესით მოპოვება **დაეკვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.№6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

